საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაზგია

აბაზგია (ბერძნ. Abasgia), თავდაპირველად აბაზგებით დასახლებული ტერიტორია ისტ. კოლხეთში, სოხუმსა და მდ. კოდორს შორის. II ს-ში, ფლავიუს არიანეს ცნობით, რომის ხელქვეითი სამთავრო იყო, რ-ის მთავრებს რომის იმპერატორი ამტკიცებდა. IV–V სს-ში მისი ტერიტორია სამხრ-იდან აფშილებმა შეავიწროვეს. ამის შემდეგ „აბაზგიად“ იწოდება სოხუმის ჩრდ-ით მდებარე ქვეყანა. ამ დროიდან მის შემადგენლობაში შევიდა სანიგების მიწა-წყლის ნაწილიც. IV ს-ში **ა.** უკვე ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში იყო. ამ დროს მას ჰყავდა ორი მთავარი, რ-თაც ეგრისის მეფე ამტკიცებდა. **ა.** ლაზიკასთან ერთად ებრძოდა სასანურ ირანს და ბიზანტიას (იხ. აბაზგების აჯანყება 550). VII ს. I ნახევარში **ა.** ბიზანტიამ ლაზიკის სამეფოდან გამოყო და თავის ადმინისტრაციას დაუქვემდებარა; მის შემადგენლობაში შევიდა დას. აფშილეთი, სანიგებისა და მისიმიელების მიწა-წყალი. ტერმინმა „აბაზგიამ“ *პოლიტ.* შინაარსი მიიღო; უკვე მოიცავდა როგორც ამ მხარეში მოსახლე საკუთრივ აბაზგური, ისე აფშილური, მეგრული და სვანური ტომებით დასახლებულ ტერიტორიას, ე. ი. აღნიშნავდა იმასვე, რასაც ქართ. სახელწოდება „აფხაზთა სამთავრო“. **ა.** ეკლესიურად წარმოადგენდა საარქიეპისკოპოსოს, მისი მღვდელთმთავრის რეზიდენცია იყო სებასტოპოლისი (ახლანდ. სოხუმი). **ა**-ის საარქიეპისკოპოსო ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. VIII ს-ში **ა**-ის მთავარამა ლეონ II-მ გააერთიანა მთელი დას. საქართველო და მიიღო აფხაზთა მეფის ტიტული (იხ. „აფხაზთა სამეფო“). ამ დროიდან უცხოურ წყაროებში „აბაზგია“ ნიშნავდა საკუთრივ აფხაზეთს, ზოგჯერ – დას. საქართველოს, ხოლო ზოგჯერ (საქართველოს გაერთიანების შემდეგ) – მთელ საქართველოსაც.

წყარო: ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის გამოც., თბ., 1961; პროკოპი კესარიელი, De bello gothico, წგ.; გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.

2, თბ., 1965; იოანე საბანისძე, მარტვლობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., ტ. 1, თბ., 1963; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუჩხიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ - აბაზგ“ და „აბაზა - აფსუა“ ეთნონიმთა ისტორიულ - ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1991, №2; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლ ო მ ო უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1, თბ., 1977; А н ч а б а д з е З. В., Из истории средневековой Абхазии, Сух., 1959; Д ж а н а ш и а С. Н., О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, ტ. 2, თბ., 1952.

ნ. ლომოური